



# საქართველო

## სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს



### ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243  
243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia

Tel.: 0413 27 60 60, 27 50 16  
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com  
Web address : www.senaki-sakrebulo.gov.ge

№13

30 მარტი 2021 წელი

სენაკის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე 50 ერთეული გარე განათების ბოდის ნაწილი/წერტილის სს „სილქნეტისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის და წლიური საიჯარო ქირის ოდენობის განსაზღვრის თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ.“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის, სს „სილქნეტის“ 16.02.2021წ. №90/14-6 წერილის და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის 20 მარტის 2021წ. №40-402107911 მომართვის შესაბამისად

1. მიეცეს თანხმობა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 5 (ხუთი) წლის ვადით გადასცეს სს „სილქნეტს“ სენაკის ადმინისტრაციულ საზღვრებში (ა. ელიავას ქუჩა-12 ცალი ბოძი, ძველი სენაკი ს/კ №44.04.29.107-ის მიმდებარედ - 6 ცალი ბოძი, ძველი სენაკი ს/კ №44.04.28.371-ის მიმდებარედ - 32 ცალი ბოძი) მდებარე 50 ერთეული გარე განათების ბოდის ნაწილი/წერტილი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის განთავსებისათვის.

2. სარგებლობის უფლებით ქონების გადაცემის წლიური საიჯარო ქირის ოდენობა შეადგენს 2(ორი) ლარს 1 ერთეული ხაზოვანი ნაგებობის/გარე განათების კონსტრუქციების ნაწილის/წერტილის გამოყენებისათვის, სულ 100 ლარი.

3. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: სენაკი, რუსთაველის ქ. №247).

სენაკის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

კახაბერ რუსია